შპს „კონექსი"
საქართველო,
ქ. თბილისი
მინდელისქ.№3,

Web:www.konex.ge
Email:info@konex.ge

„Konex" LTD
Tbilisi, Georgia
№3 Mindeli str.

20.04.2023 ს/დ-6

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, აკაკი ბაქრაძის ქუჩა №7-ში (ნაკვეთი ს/კ 01.10.10.025.102)
საცხოვრებელი კომპლექსის ბლოკ VI-ს სამანქანე პანდუსის, დაბალ ნაკვეთურის არსებულ კედლებში
ღიობების მოწყობისა და ლიფტის შახტების კედლებში ღიობების კორექტირების
პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

საექსპერტიზოდ წარმოდგენილია ქ. თბილისში, აკაკი ბაქრაძის ქუჩა #7-ში (ნაკვეთი ს/კ 01.10.10.025.102) საცხოვრებელი კომპლექსის ბლოკ VI-ს დაბალ ნაკვეთურის სარდაფის მეორე სართულზე „3"-„5" ღერძებს შორის „ნ" და „ო" ღერძებზე არსებულ რკინაბეტონის კედლებში ღიობების მოწყობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილი და მაღალი ნაკვეთურის „ზ", „თ" და „3", „5" ღერძების მიმდებარედ +18.93 ნიშნულის ზევით ლიფტის შახტების კედლებში არსებული ღიობების კორექტირების პროექტის კონსტრუქციულ ნაწილი, „ე", „ზ" და „4", „6" ღერძების მიმდებარედ +81,63 კიბის უჯრედი და საავტომობილო პანდუსი -04,78 ნიშნულზე.
პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია სამშენებლო კომპლექსის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ავტორების (შპს „ქიუ ენჯინერინგი") მიერ.

პირველი შემთხვევაში პროექტი ითვალისწინებს სარდაფის მეორე სართულზე „3"-„5" ღერძებს შორის „ნ" და „ო" ღერძებზე არსებულ რკინაბეტონის კედლებში ოთხი ღიობის გაჭრას, ზომებით 2320x1030(h) მილიმეტრი (ორი ცალი), 2320x1500(h) მილიმეტრი, 2320x2460(h) მილიმეტრი და მათ მოჩარჩოებას ლითონის პროფილებით, - კუთხოვანებით 100x100x10 და შველერებით #16. ეს უკანასკნელი გამოიყენება განიერი ღიობის თავზე. რომლებიც მაგრდება კედლის ტანში ანკერების საშუალებით, შემდგომ კედელსა და მოჩარჩოების კონსტრუქციას შორის დარჩენილი სივრცე შეივსება ბეტონით.
პროექტის გამნარტებით ბარათში მოხსენიებულია, რომ „.ღიობის ამოჭრას გავლენა არა აქვს კონსტრუქციის სიმტკიცის, სიხისტის და მდგრადობის მოქმედი ნორმატული დოკუმენტებით მოთხოვნილ პირობებზე...", რასაც სრულად ვეთანხმები. აღნიშნული კონსტრუქციული გადაწყვეტის რაოდენობრივი შეფასების მიზნით ჩვენს მიერ ჩატარდა გადამოწმებითი ანგარიში, რომლის შედეგების ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ პროექტში მოცემული კედლის გაძლიერების კონსტრუქციული გადაწყვეტა მარაგით უზრუნველყოფს მისი სიმტკიცის, მოქმედი ნორმატული დოკუმენტებით განსაზღვრული, პირობების შესრულებას.
მეორე შემთხვევაში პროექტი ითვალისწინებს ზოგიერთი ღიობის შემომზღუდავი კედლის სიგანის შემცირებას -ჩაჭრას, ზოგიერთის კი მისი სიგანის გაზრდას, ამასთან ორივე შემთხვევაში ზომები იმდენად მცირეა, რომ მათი განხორციელების შემთხვევაში არა თუ შენობის კონსტრუქციების საერთო დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა არ იცვლება არამედ მნიშვნელოვნად არ იცვლება ლოკალურ ზონებშიც კი.
აქედან გამომდინარე სარეკონსტრუქციო კედლებში ღიობების შემომფარგვლელი ზონების გაძლიერების პროექტში მოცემული კონსტრუქციული გადაწყვეტები,

სრულიად საკმარისია, რომ უზრუნველყოფილი იყოს, ნორმატული დოკუმენტებით განსაზღვრული, სიმტკიცის პირობები.

მესამე შემთხვევა ითვალისწინებს +84,34 ნიშნულზე „4“, „6“ და „ე „ზ“ ღერძების მიმდებარედ კიბის უჯრედის და ტამბურის კედლების გაუქმებას .

მეოთხე შემთხვევა ითვალისწინებს „თ“/„5“ და „5“-“6“/“ზ“-„თ“ ღერძების მიმდებარედ ლიფტის უჯრედების გადახურვის ფილის ამაღლებას 84,34 ნიშნულიდან 86,35 ნიშნულამდე.

მეხუთე შემთხვევა ითვალისწინებს 3-6 და გ-
დ ღერძების კვეთაზე მდებარე საავტომობილო პანდუსი რომელიც აკავშირებს 7.950 ნი შნულს 4.800 ნიშნულთან, დაკორექტირდა სიგრძეში და ნაცვლად 20 მეტრისა გახდა 20 .60 მეტრი.

მესამე, მეოთხე და მეხუთე შემთხვევაბში მოცემული ცვლილებები, პრაქტიკულად გავ ლენას არ ახდენს შენობის საერთო დაძაბულ დეფორმირებულ მდგომარეობაზე და ამდ ენად მიღებული კონსტრუქციული გადაწყვეტები უზრუნველყოფს ნორმატიული დოკ უმენტებით განსაზღვრულ სიმტკიცის და სიხისტის პირობებს.

დასკვნა საექსპერტოდ წარმოდგენილ ქ. თბილისში, აკაკი ბაქრაძის ქუჩა #7-ში (ნაკვეთი ს/კ 01.10.10.025.102) საცხოვრებელი კომპლექსის ბლოკ VI-ს სარდაფის მეორე სართულზე „3“-„5“ ღერძებს შორის „ნ“ და „ო“ ღერძებზე არსებულ რკინაბეტონის კედლებში ღიობების მოწყობისა და „ზ“, „თ“ და „3“, „5“ ღერძების მიმდებარედ +18.93 ნიშნულის ზევით ლიფტის შახტების კედლებში არსებული ღიობების კორექტირების პროექტის , ასევე +84,34 ნიშნულზე „4“, „6“ და „ე „ზ“ ღერძების მიმდებარედ კიბის უჯრედის და ტამბურის კედლების გაუქმებას და „თ“/„5“ და „5“-“6“/“ზ“-„თ“ ღერძების მიმდებარედ ლიფტის უჯრედების გადახურვის ფილის ამაღლებას 84,34 ნიშნულიდან 86,35 ნიშნულამდე . ცვლილებების პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს ეძლევა დადებითი შეფასება და რეკომენდაცია დასამტკიცებლად.

ექსპერტი

